# ნახევარფინალი ზღაპრად იქცა...

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 25 მარტი.

“დინამო” (თბილისი) _ “კარპატი” (ლვოვი) _ 1:1 (0:0).

“დინამო”: სტეფანია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, კუტივაძე (მჭედლიშვილი), მ. მაჩაიძე, გუცაევი, გ. ნოდია, ლ. ნოდია (ყიფიანი).

“კარპატი”: ვაიდა (კოვაჩი), გერეგი, პოტოჩნიაკი, კულჩიცკი, ჟურავსკი, ბროვარსკი, გრეშჩაკი, სავკა, ხიჟაკი (შპოდარუნოვი), ლიხაჩოვი, კოზინკევიჩი.

მსაჯი: ვ. ალოვი (ლენინგრადი).

ძნელია ინატრო ისეთი იოლი გზა თასის ფინალისკენ, როგორიც წლეულს მიეცა თბილისის “დინამოს”. პირველი ორი მატჩი მას ჰქონდა მეორე ეშელონის გუნდებთან, მეოთხედფინალში მეტოქედ “კარპატი” შეხვდა, ხოლო ნახევარფინალში თამაში უწევდა მოსკოვის “სპარტაკთან” ან “ლოკომოტივთან”.

მაგრამ თუ გავიხსენებთ, ასეთივე იოლი გზა ჰქონდათ დინამოელებს თასის შარშანდელ გათამაშებაშიც და მაშინაც ასევე უკიდურესად სუსტად, ორიანზე ითამაშა ჩვენმა გუნდმა საკუთარ მინდორზე მოსკოვის “ტორპედოსთან”.

დავანებოთ თავი შარშანდელს, მას შემდეგ, რაც თბილისელებმა ასე თუ ისე შეასრულეს დასახული ამოცანა 21 მარტს ლვოვში (0:0), შინ საჭირო იყო საპასუხო მატჩის მოგება 1 ბურთის განსხვავებით და გათამაშების შემდგომ ეტაპში მონაწილეობა გარანტირებული იყო. დინამოელებმა ფაქტიურად მაშინ გააფუჭეს საქმე, როცა პირველი 45 წუთი ჩაატარეს ყოველგვარი ტეპის გარეშე, ნელა, ბურთის გაუთავებელი ტარებით და საშუალება მისცეს “კარპატის” მიეღწია დასახული მიზნისთვის. თუ ჩამოვთვლით ორივე კართან შექმნილ მომენტებს, ისინი ლვოველთა სასარგებლოდ მეტყველებენ. მხოლოდ ხანდახან, შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ შეიქმნებოდა გოლის გატანის შესაძლებლობა “კარპატის” კართან. ამის მიღწევა არც შეიძლებოდა, ვინაიდან ჩვენი ნახევარმცველები _ გავაშელი, მაჩაიძე და კუტივაძე ყოველნაირად ცდილობდნენ დაემუხრუჭებინათ ტემპი, შეეჩერებინათ ბურთი შუა მინდორზე და არ მიეცათ თავიანთი თავდამსხმელებისთვის ბურთის მიღების საშუალება. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა მაჩაიძე, რომელიც, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არავის არ აწვდიდა ბურთს. ასევე “გამოიჩინა” თავი ძოძუაშვილმა, რომელიც ბურთის უთავბოლო ტარებას ხშირად უმატებდა ტაქტიკური და ტექნიკური ხასიათის უხეშ შეცდომებს. არავითარი სარგებლობა არ მოუტანია კოლექტივისთვის ლ. ნოდიასაც. საერთოდ, სიმართლე რომ ითქვას, 13 დინამოელიდან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ მატჩში, არც ერთი არ იდგა მოწოდების სიმაღლეზე.

ერთგვარად გამოცოცხლდა თამაში მხოლოდ მეორე ტაიმის დასაწყისში, როცა გ. ნოდიამ გავაშელისგან მიღებული ბურთი გაგზავნა “კარპატის” კარში. მასპინძლებმა მხოლოდ მცირე ხანს ითამაშეს ხეირიანად და შემდეგ მინდორი კვლავ მოწინააღმდეგეს დაუთმეს. 66-ე წუთზე ბროვარსკიმ შორი მანძილიდან დაარტყა კარში, სტეფანია არ იდგა თავის ადგილზე და ბურთი თავისუფლად ჩაეშვა ბადეში.

ანგარიში 1:1 ყოველმხრივ აწყობდა “კარპატის”. მაგრამ თბილისელებს მატჩის ბოლო წუთზე მაინც მიეცათ მატჩის ხსნის შანსი, როცა კარის სიახლოვეს ხურცილავას წაქცევისთვის მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა. პენალტის შესრულება დაევალა გ. ნოდიას. გუნდის ბომბარდირმა საოცრად არაზუსტად დაარტყა კარში. ბურთი ნელა და ძელიდან დიდი დაცილებით აცდა კარს.

ნახევარფინალი თბილისის “დინამოსთვის” ზღაპრად იქცა...

**ბ. ქორქია.**
**“ლელო”, 26 მარტი, 1972 წ.**